№ 94
მაისის 1, ხუთშაბათი 1903 წ.
1877

# ივერია

№ 94
მაისის 1, ხუთშაბათი 1903 წ.
1903

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი



პირველ მაისიდან წლის დამლევამდე

გაზ. „ივერია“

ჰღირს 6 მან. 75 კაპ.

გაზეთის „ივერიის“ ფასი თვეობით 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ. 25 კ., 7 თვით—6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

იყიდება სურამში

იუნკერთა სასწავლებლის მახლობლად

საუკეთესო სააგარაკო ადგილები,

შემკული კარგის ჰავითა, ტყითა და წყაროებით. სასეირნოდ დატოვებულია ოზრდილი ადგილი ტყისა. სივრცე თითოეულის აგარაკისა 133—478 ჩორსოსაჟენი. უმთავრესი ქუჩა ათ საჟენიანია. ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდომია, იკითხეთ „ივერიის“ რედაქციის კანტორაში 10—3 საათამდე (სასახლის ქუჩა. თავად-აზნაურობის ქარვასლა). (25—25)

სამკერვალო

ქალთა ტანისამოსისა.

ვღებულობთ ქალთა ტანისამოსს შესაკერად

ყველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასად.

ვიყვანთ შეგირდებს და ვაძლევთ გაკვეთილებს ჭრა-კერვისას და სხვა-და-სხვა ხელთ-საქმისას.

აქვე მიიღება შესაკერად

კაბა-ანაფორა

და სხვა სასულიერო სამოსელი.

ტფილისი. წმ. გიორგის (ქვაშვეთის) ქუჩა, სახლი არჯევანიძისა, № 12, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

ჭრა-კერვისა და ხელთ-საქმის სახელოსნოს გამგე ანა მერკვილაძისა.

ს.-პეტერბურგის კომპანია „ნადეჟდა“

ზღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად

დაარსებულია 1847 წელს.

| | |
|---|---|
| ძირითადი თანხა . . . . . . . | 1.650.000 მან. |
| სათადარიგო თანხა . . . . . . . . | 2.664,808 მან. |

I. გაგზავნა ტვირთისა.

300 სააგენტოზედ მეტია ევროპიულ რუსეთის ყველა უმთავრესს ადგილას, კავკასიაში, შუა აზიაში, ციმბირში და შორეულ აღმოსავლეთად, აგრეთვე წარმომადგენელნი ჰყავს უმთავრესს ქალაქებში საზღვარ-გარედ.

კომპანია ასრულებს გაგზავნას და გადაზიდვას ყოველ-გვარ საქონლისა და ნივთისას, მიღებას და ჩაბარებას სახლში, საწყობსა და მაღაზიაში.

ასრულებს ჩაბარებს ბარგი გამგზავნთა მიერ აღნიშნულ პირობით (ფას-დადებით გამგზავნის ხარჯზედ, ფულის გაგზავნა დეპეშით საქონლის გაგზავნისათვის იქ, სადაც ბარგი და საქონელი უნდა იქმნას ჩაბარებული და სხ.).

შესახვა საქონლისა შედავათიანის პირობით იმ დრომდე, ვიდრე პატრონს ჩაჰბარდებოდეს და დაზღვევა მისი საწყობში, რისთვისაც ბევრგან გვაქვს დიდნი საკუთარნი საწყობანი, განსაკუთრებით საქონლის შესანახად მოწყობილნი.

II. ნაოსნობა.

კომპანიას აქვს საკუთარი გემები, ზღვებსა და მდინარეში საველი ნავები (ბარჟები) პასაჟირებისა და საქონლისათვის, აგრეთვე საბუქსირო გემები (სულ 70 ნავი და გემი). ავლიანი მიმოსვლა პასაჟირთა და ზიდვა საქონლისა მდ. ვოლგას ყოველ ბაქან შორის, რიბინსკიდგან ასტრახანამდე და კასპიის ზღვის ყოველ პორტს შორის, ასტრახანიდგან სპარსეთის საზღვრებამდე.

უზარმაზარნი საწყობნი საქონლისა ნიჟნი-ნოვგოროდში (ციმბირის ბაქანთან, ასტრახანსა, ბაქოსა და კრასნოვოდსკში).

III. დაზღვევის ოპერაციები.

ა) დაზღვევა საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვითა და არით.

ბ) დაზღვევა ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.

გ) დაზღვევა ყოველ-გვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბარჟებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.

დ) დაზღვევა განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას ასრულებს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან. სატრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის სააგენტონი.

გამგეობა ს.-პეტერბურგის კომპანიის „ნადეჟდას“-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვოს პროსპექტზედ, სახლის № 10.

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნაოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნაოსნობისათვის—ნიჟნი-ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო სასახლის ქუჩაზე, ქართველთა თავად-აზნაურობის სახლში ტელეფონი № 108. (120—ნ.—114).

კვირას, 11 ამა მაისს, ბანკის ბაღში და ქართულ თეატრში გაიმართება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ

სახალხო სეირნობა

საკვირველ-მოქმედო ბაზარითურთ

შემოწირულობათა წარმოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება კნ. ოლგა თადეოზის ასულის ჭავჭავაძესთან, ნიკოლოზის ქუჩა, № 21 და ქართველთა შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში, სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურობის ქარვასლა.

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობის წევრთა წლიური

კრება,

რომელიც დანიშნული იყო 1903 წ. აპრილის 20-ს, საკმაო წევრთა გამოუცხადებლობისა გამო, გადიდვა 11 მომავალ მაისისათვის კრება კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

კრების განსახილველი საგნები იგივეა რაც უკვე გამოცხადებული იყო წინად.

ამხანაგობის გამგეობა { თავმჯდ. პ. მდივანი. წევრი ერ. კოწმარიშვ. გამგე ნ. წერეთელი.

(3—ნ.—3)


მოწოდება

მეექვსე საუკუნეში ქრისტეს დაბადების შემდეგ ღვთის მშობლის წილხდომილს, ჩვენს სამშობლოში მოევლინნენ, ღვთის ბრძანებით და განგებით, ათორმეტნი ღირსნი მამანი სირიიდგან; ამ წმიდა მამებმა დიდი ღვაწლი დასდეს ჩვენს სამშობლოს,—განავრცეს და განამტკიცეს მასში ქრისტეს ჭეშმარიტი სარწმუნოება თავიანთი ქადაგებით, მოღვაწეობით, წმიდა ცხოვრებით და სასწაულებით.

ერთი ამ წმიდა მამათაგანი,—ყვავილი სიმშვიდისა და მოთმინებისა,—ღირსი პიროსი მოღვაწეობდა ქართლში, სოფელ ბრეთში; ბევრი იშრომა და იღვაწა ღირსმა და ღმერთშემოსილმა მამა—პიროსმა, ბევრნი გამოიხსნა საუკუნო ბნელისაგან და მოაქცია სინათლისკენ. სასწაულთ-მომქმედი ნაწილები ამ წმიდა მამისა დაკრძალულია ს. ბრეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში, რომელიც აღშენებულია მეშვიდე საუკუნეში. ჰყვაოდა და ჰბრწყინავდა ოდესმე ეს წმიდა საყოფელი ღირს მამის სასწაულთ-მომქმედ ნაწილთა სიმშვენიერით და მორთულობით, გარნა ეხლა ეს ეკკლესია დაძველებულია და საჭიროა მისი საფუძვლიანად განახლება. სოფელ ბრეთის მრევლი დიდი ხანია მოწადინებულია განაახლოს წმ. გიორგის ეკკლესია, მაგრამ ხელმოკლეობის გამო ვერ შესდგომია ამ დიდს და ღვთის სათნო საქმეს.

ამისათვის მრევლთაგან შემდგარი და უმაღლესი სასულიერო მთავრობისაგან დამტკიცებული კომიტეტი უმორჩილესად სთხოვს ყველა ქრისტეს მოყვარე ქველმომქმედთა და საქართველოს სიძველეთა მოყვარულთ, შეძლების დაგვარად, აღმოუჩინონ კომიტეტს შემწეობა და დახმარება ბრეთის წმ. გიორგის ეკკლესიის განახლებაში; ყოველივე შემოწირულება დიდის მადლობით იქნება მიღებული კომიტეტისაგან და ეკკლესიის კრებული ილოცავს შემომწირველთა სადღეგრძელოდ.

შემოწირულება მიიღება შემდეგის ადრესით:
Комитету по ремонтировкѣ Бретской Свято-Георгіевской церкви въ сел. Брети, Горійскаго уѣзда.

Въ г. Гори, Его Сіятельству полицейскому Приставу Бардзиму Кайхосровичу Авалову.

გორში, გორის სასულიერო სასწავლებლის ინსპექტორს მღვდელ-მონაზონს პიროსს.

და ტფილისში „ივერიის“ რედაქციაში.

კომიტეტის წევრი—საქმის მწარმოებელი
ივანე გიორგის ძე აველიშვილი.

(5—1)


ქუთაისში

კვირას, მაისის 4, საქალაქო ბაღში (ბულვარში) გაიმართება სახალხო სეირნობა

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ.

ბაღი გაჩირაღდნებული იქმნება და მორთული.

ბაღში იქმნება ბუფეტი სანოვაგით.

დაუკრავს მუსიკა და საზანდარი.

(5—უ.—3)

ქართველ ქალთა ამხანაგობის

სამკერვალოში

მიიღებენ ყოველგვარ ხელსაქმეს: თეთრეულს ფერადი ძაფით ნაკერებს და კაბებს ქალებისას და ბავშვებისას.

ბარონის ქუჩა, № 12.

კბილის ექიმი

ივანე ჰაველის ძე

ახალშენიშვილი

ელისაბედის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 ს. და 11—2-დის, ხოლო საღამ. 5—7-დის. კვირა-უქმეღღეებში 9—2-მდის და საღამ. 5—7-მდის. (წლ.)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქროვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფისა.

მ. ზ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანახოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. ბძლიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

ზ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგიან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბთაობით და შაბათობით.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულისა და კანის ავადმყოფობისა (ელექტროტერაპია)

ნ. ს. ლუზეცკი 6—7 საათამდე, ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგანი და ვენერიული.

ქალი ექიმი ა. ი. შჩერბანინა 7—7½ საათამდის. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

ზ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გიმართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон- (წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

მ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

მ. დ. ლამბაშიძე—ორშ., ოთხშ., და შაბათ. 10—11.

ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით 10—11 ს.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.

დ. ა. ბედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ა. მუსხელოვი:—თვალის ავადმყოფობა— ორშ. ხოთშ. და შაბათი. 11½—12½.

მ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 ს.

ზრ. მ. ხობოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარიღკეობით და შაბათობით 1—3 საათ.

ზ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—3 ს.

საღამოთი:

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

მუდმივი ექიმი ბ. დ. ნასარიძე.

მასაჟი და საექიმო გიმნასტიკა: ორშაბათობით ოთხშაბათობით და პარასკეობით 6—8 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

№ 46—8 ტელეფონი № 617

ექიმი

ვ. ლამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო ავათმყოფით საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642. (წ.)


## მთავრობის განკარგულება

გაზეთ „კავკაზ“-ში დაბეჭდილია შემდეგი ოფიციალური განცხადება:

27 აპრილს, დილას ათ საათზედ, ქალაქის უმთავრეს ქუჩებზედ დიდ-ძალმა მუშა ხალხმა, რიცხვით 1,000—1,200 კაცმა თავი მოიყარა. პირველ ხანში მუშები შეუერთდნენ მოსეირნე ხალხს და უწესოებაც არა ჩაუდენიათ რა, ხოლო 12 საათზედ, უცბად შეერთდნენ ას კაცამდე ერთ ჯგუფად, გადავიდნენ უმთავრეს ქუჩის შუა გულზედ, სახაზინო თეატრის პირდაპირ, „ურა-“ს ძახილით ამართეს წითელი დროშა და სცდილობდნენ უმთავრეს ქუჩებში გავლას. მაგრამ გაძლიერებულ პოლიციის რაზმი და მეეზოვეები გადაეღობნენ წინ და საარულის ნება არ მისცეს, ამ დროს მოვიდა ცხენოსან დარაჯებით პოლიცმეისტერი, გაჰფანტა მანიფესტანტები და იქ, სადაც გაქცეული ხალხი აპირობდა შეერთებულიყო დიდ ჯგუფად, გზა შეჰკრა. 10 წუთის შემდეგ ქუჩებზედ წესიერება უკვე აღდგენილი იყო. უწესოების დროს შეიპყრეს 63 კაცი. პოლიციელებისა და მანიფესტანტების შეჯახების შემდეგ მძიმედ დაშავებულები არც ერთი არ აღმოჩნდა, 63 დაჭერილ მანიფესტანტებიდამ 30 უკვე გამოუშვეს, რადგან მოწმეთა ჩვენებით ვერ დამტკიცდა, თუ ისინი მონაწილეობას იღებდნენ არეულობაში; დანარჩენი 33 კაცი, გაძლიერებულ დამცველობით წესდების თანახმად, ტფილისის გუბერნატორის განკარგულებით დაპატიმრებულნი იქნებიან ციხეში სხვა-და-სხვა ვადით.

—

### ტფილისის გუბერნატორის განკარგულება.

1903 წელს, 29 აპრილს, მე—ტფილისის გუბერნატორმა, განვიხილე-რა გამოძიება 27 აპრილს მომხდარ უწესოების შესახებ და, ქალაქ ტფილისში სავალდებულო დადგენილებათა თანახმად, რომელნიც გამოცემულ იქმნა კავკასიის მთავარ-მმართებლისაგან 18 იანვარს 1902 წ., სახელმწიფო და საზოგადოებრივ წესიერების დაცვის შესახებ, დავადგინე: ქუჩაზედ შეკრებისათვის საზოგადო მშვიდობიანობის დასარღვევად და პოლიციის წინადადების შეუსრულებლობისათვის დაპატიმრებულ იქმნენ:

ა) სამის თვით:

1) გიორგი ნეცუბიძე—თელავის მოქალაქე, 2) მარიამ მდინარაძე, ოზურგეთის მაზრის, ს. ვაკეჯვარის გლეხის ქალი, 3) გიორგი ტაბლიაშვილი, თელავის მაზრის, სოფ. შაშიანის მცხოვრები, 4) ნიკოლოზ პონხაძე, რაჭის მაზრის, ს. გორის-უბნის გლეხი, 5) ბეურქ აკოფოვი,

ტფილისის მოქალაქე, 6) ფრიდონ მინდიაშვილი, გორის მაზრის, ს. ქემერტის მცხოვრები, 7) სპირიდონ არჩუაძე, გორის მაზრის, ს. ფლავის მცხოვრები, 8) იაგორა გაბრიელოვი, ტფილისის მაზრის, ს. ახალსოფელს მცხოვრები, 9) ნიკოლოზ მირთიანცი, ტფილისის მოქალაქე, 10) ბადრუა ქართაშევი, ტფილისის მოქალაქე, 11) გიორგი მეჩურჩლიშვილი, სიღნაღის მაზრის, ს. ბოდბისხევის მცხოვრები, 12) ლუკა ლეჟავა, ქუთაისის მაზრის, ს. კუმოშის მცხოვრები, 13) დათიკო კობახიძე, სენაკის მაზრის, ს. სამტრედიის მცხოვრები, 14) არჩილ ქვრალიძე, ოზურგეთის მაზრის, ს. ლანჩხუთის მცხოვრები, 15) ივანე ლესურაშვილი, ტფილისის მაზრის, ს. დიღომის მცხოვრები.

ბ) ორის თვით:

16) ზაქარია არჩუაძე, გორის მაზრის, სოფ. ფლავის მცხოვრები, 17) ნიკოლოზ მელაძე, ქუთაისის მაზრის, სოფ. მათხოჯის მცხოვრები.

გ) თვე-ნახევრით:

18) ზაქარია ონაშვილი, ტფილისის მაზრის, სოფ. პატარძეულის მცხოვრები, 19) პეტრე მამასახლისოვი, გორის მაზრის, სოფ. ახალქალაქის მცხოვრები, 20) როდიონა კოხრეიძე ქუთაისის მაზრის მცხოვრები, 21) სილიბისტრო გაბუნია, ქუთაისის მაზრის, ს. ციხესძირის მცხოვრები, 22) ისაკა ბირკულოვი, ტფილისის მაზრის, სოფ. პატარძეულის მცხოვრები.

დ) ერთის თვით:

23) ილია ცხვედაძე, ტფილისის მაზრის, ს. პატარა-თონეთის მცხოვრები, 24) ალექსი პიტაშვილი, ტფილ. მაზრის, ს. გლდანის მცხოვრები, 25) იოსებ ქონდამაზაშვილი, სიღნაღის მაზრის, სოფ. ბოდბეს მცხოვრები, 26) გიორგი ბირკულოვი, ტფილისის მოქალაქე, 27) მოსე ბურჭულაძე, ოზურგეთის მაზრის მცხოვრები, 28 იობა მესხიძე, ახალციხის მოქალაქე, 29) დავით გოგნიძე, გორის მაზრის, ს. კავთისხევის მცხოვრები, 30) მაქრო ფადაროვი, ტფილისის მოქალაქე, 31) ტიგრანა ზაკუტოვი, ტფილისის მაზრის, ს. ვაშლოვანის მცხოვრები, 32) გრიგოლ შახნაზაროვი, ტფილისის მოქალაქე, 33) ივანე გრატიაშვილი, ტფილისის მაზრის, ს. საგარეჯოს მცხოვრები.

ეს დადგენილება ძალაში შევიდა 27 აპრილს, საღამოს 9 საათიდგან.

## წმ. თამარ მეფის დღეობა

1213 წ. 1 მაისს, ოთხშაბათ დღეს, მიიცვალა წმ. თამარ დედოფალი. მადლიერმა ქართველთა ერმა წმიდათა შორის შერიცხა და დღევანდელი დღე სადღესასწაულოდ დაუწესა, რადგან მისს თითქმის ოცდა ათ წლოვან მეფობას „ჭფარვიდა ხელი საუფლო და უძლოდა მკლავი მაღალი“, ვინაიდგან „ღთმი ბრწყალითა საცნაურ იყო, ხოლო თამარი საქმეთაგან!“

წმ. თამარის სიკვდილმა კიდით-კიდემდე შესძრა საქართველო, დიდი და პატარა თავში იცემდა, ცული უწუხდებოდათ, მთელი სამეფო შავის ძაძით შეიმოსა, ვინაიდგან იგი „იყო სანთელი გონიერთა და უგუნურთა—პირველთა განმანათლებელ, და მეორეთა დამწველ;“ ვინაიდგან მისს მეფობაში „გლახაკნი განმდიდრდებოდეს, მოვალენი ვალთაგან განთავისუფლდებოდეს, ობოლნი და ქვრივნი დონიერ იქნებოდეს და ეკლესიანი აღევსებოდეს... რამეთუ არაოდეს გარე მიაქცია ხელი სათხოვლისაგან ქვრივთა, ობოლთა და უმიძლავრებულთასა“...

საქართველოს ყოველ კუთხეში, ყოველ ქართველის გულში წმ. თამარმა თვისი სახელი გააუკვდავა. დღესაც მცხეთა, გელათი და ვარძია ერთმანეთში ცილობენ და წმ. თამარის საფლავს ერთმანეთს არ უთმობენ—არა აქ არის მისი საფლავი, არა აქაო.

შარავანდედი წმ. თამარისა ფრიად სჭარბობს სხვა მეფეების შარავანდედსა: წმ. ვახტანგ გორგასლანი, წმ. დავით აღმაშენებელი, გიორგი ბრწყინვალე, წმ. ლუარსაბ დიდი, სიმონ მეფე, პატარა კახი უკვდავნი არიან ქართველთა ცხოვრებაში, მაგრამ წმ. თამარ დედოფალი განმარტოებით მაღლა სდგას და ხელაღპყრობით ევედრება დედასა ღვთისასა დაცვისათვის ქართველთა ერისა, ევედრება ღმერთსა—„საჯთს მავნებელი ქართველთა ერისა და ბრძოს მბრძოლთა მათ მისთა!“

სადაც-კი მთაგორაზედ, ანუ ველად ოდესმე აღშენებულა რამ—საყდარი, ანუ ციხესიმაგრე, ქართველი ერი ამბობს—ყველაფერი წმ. თამარის აღშენებულიაო.

წმ. თამარის სამართლიანობა, მისი მტკიცე ხასიათი, მისი გულკეთილობა, ქველმოქმედება, სამეფო საქმეთა სიბრძნე-გონიერებით განგება, მისი მხურვალე მორწმუნეობა და სხვ. ამგვარი საუკეთესო თვისებანი ერთად თავმოყრილნი იყვნენ წმ. თამარის სულიერს სალაროში, ამ მხრივ იგი უებრო იყო ქართველთა ისტორიაში სწორედ ამისთანა უებრობამ წარმოათქმევინა უკვდავს შოთასა იმ დროის კაცობრიობისათვის უცხო ლექსი: „ლეკვი ლომისა სწორია—ძუ იყოს, თუნდა ხვადია“.

შინაურ-გარეულ მტერთათვის მრისხანე და ზარის დამცემი, თამარ დედოფალი გულკეთილი დედა იყო ყოველის მოყმისა.

მის სულიერსა და ხორციელს სინარნარეს ასე აგვიწერს სახელოვანი ჩახრუხაძე.

„თამარ წყნარი, შესაწყნარი, ხმა ნარნარი, პირმცინარი,
მზე მცინარი, საჩინარი, წყნარი-მქნარი, მომდინარი,
მისთვის ქნარი, რა არს ქნარი არსით მოქნარი, უჩინარი!
ვარდ შამბნარი, შამბ-მალნარი, ლაწვ-მწყაზარი, შუქმფინარი“.

არა ნაკლებს ქებას უძღვნის შავთელი:

„თვალი ხარ ბრმათა, თვით მზრდელი ყრმათა, მშიერთა პური, უსახლთ სართული!
„მამა ობოლთა, მსაჯული ქვრივთა, შიშველთ სამოსლად მინიჭებული!
მოხუცებულთა, შრომით რებულთა, სიმტკიცის კვერთხად მისაყრდნობელი!
მოგვფენ სიბრძნესა, წერილთ სიღრმესა, თვით განგვიმარტებ მადლთა მთხრობელი“!

იმ დრომდე მტრის შემოსევასა და მოგერებას ჩვეული ქართველი ერი, რაღა თქმა უნდა, წელში გაიშალა და ახლა თითონ ესეოდა მტერსა და სახლში უხდებოდა.

აღორძინდა ეროვნული თვითცნობიერება, მწერლობა; აღშენდნენ ნასოფლარნი, ნაქალაქევნი, დანგრეულნი მტერთაგან სრა-დარბაზნი და მამა-პაპის სალოცავი საყდრები, მოიფინა ქვეყანა მშვენიერი რუსხმულებით, აყვავდა ხვნა-თესვა, გაშენდა ვენახები.

ხალხის ფანტაზიამ წმ. თამარი შეამკო მრავალის თქმულებით „შოთაის ციხიდამ გაჭვერება ალვანიდამ წამოყვანილის რუსხმულის მუშაობასთ და შირაქში წისქვილი დაბრუნასთ“. „თამარ დედოფალი თავისი ერთგული ემებით დღესაც ბრუტსაბძლის მთაზედ ბრძანდებაო“.

წმ. თამარ დედოფლის ხატი, თავს სხივმოვლებული საგარეჯოს მახლობლად ტყეში ერთ პატარა საყდარში აღმოჩნდა და დღეს ჩვენს სამღვდელოების მუზეუმშია დაცული.

მეორე ხატი დაცულია წ.-კით. გამავრც. საზოგად. მუზეუმში: სპარსელებს, თურქებს და სხ. ზურგს აუკიდნიათ შეწერილი გარდასახადი და მიურთმევიათ თამარისათვის, წინ გამოსახულია ხალიფას მწვანე დროშა და სხ.

დავით გარეჯის უდაბნოში, ბერთუბნის დიდს საყდარში, კედელზედ დახატულია წმ. თამარ დედოფალი. თეიმურაზ მეფეს რომ უნახავს ეს მშვენიერი ხატი, იქვე წარმოუთქვამს შემდეგი ლექსი:

„მეფენი მოვლენ სურვილით შენსა სახელსა ჰმონებენ,
შეურაცხყოფენ მნათობთა, ნათლად არ მოიგონებენ!
სხივმოსიერად გიმზერენ, უკვდავმყოფელად გვგონებენ
და იშვებენ, მათთა პატიჟთა მათ ლხინთა შეუწონებენ!

ყველა ამის შემდეგ, მოდით და ნუ ვადიდებთ ჩვენს საერო სათაყვანებელს წმ. თამარ დედოფალსა! ციდგან მოვლენილად რაცხდა წმ. თამარს ქართველი ერი უწინ, ციდგან მოვლენილ ანგელოზად უნდა მივიჩნიოთ იგი და მისი დღესასწაულის დღე ჩვენის ერის დღესასწაულად უნდა გადავაქციოთ.

პ. ჭალელი.

## ტფილისი

✦ ჩვენ მოგვივიდა ახალი ქართული წიგნი „კათოლიკეთა ეკკლესია ბათუმში“, შედგენილი და დაბეჭდილი ბ-ნ ზ. ჭიჭინაძის მიერ. წიგნი სწორედ კარგ დროს დაიბეჭდა, რადგან ბათუმის ახალ ეკკლესიის კურთხევა დანიშნულია 4 მაისს კათოლიკეთა ეპისკოპოსის მიერ ეს ეკკლესია აგებულია, როგორც ვიცით, ჩვენის ცნობილის ქველმოქმედის სტ. კ—ძის ზუბალაშვილის ხარჯით.

✦ 3 მაისს ქალაქის გამგეობა არტისტიულ საზოგადოების თეატრში თავშესაფართა სასარგებლოდ გაჰმართავს წარმოდგენას. ამ აზრით დანიშნული ცალკე კომისია განიხილავს თუ რა პიესა წარმოადგინონ.

✦ ფინანსთა მინისტრის განკარგულებით პიატიგორსკში წასასვლელად მიეცემა მსურველთ ათასი უფასო ბილეთი პირველ კლასისა ბალნეოლოგიურ საზოგადოების წევრთა კრებაზედ დასასწრებლად.

✦ 29 აპრილს, ქალაქის გამგეობის წინადადებით იყო დანიშნული საგანგებო კომისიის კრება. კრებაზედ მიიღო მონაწილეობა სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორმა გ. ნ. სტეფანოვმა, ქალაქის დედათა საავადმყოფოს გამგემ ექიმმა ს. ს. ისტამანოვმა და ინჟინერმა ი. ი. კოგნოვიცკიმ. კომისიამ განიხილა ახალ მამაკაცთა საავადმყოფოს აშენების შესახებ შემუშავებული პროექტი.

✦ გუშინ იყო ქუჩებისა და მოედნების მომკირწყვლელ კომისიის კრება.

✦ მიხეილის საავადმყოფოსთან არსებულ საფერშლო სკოლის მოწაფენი ამ დღეებში წავიდნენ ნავთლუღში იქაურობის დასათვარიებლად.

✦ 27 აპრილს, კავკასიის სამხედრო ოლქის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი ბელიავსკი ჩამოვიდა ტფილისში პეტერბურგიდამ.

✦ 29 აპრილს ტფილისში ჩამოვიდა საქართველოს ეგზარხოსი ალექსი. ტფილისის სადგურზედ ეგზარხოსს მიეგებნენ ეპისკოპოსნი: დიმიტრი და ბენიამინე.

✦ ამიერ კავკასიის რკინის გზას დღემდის, როცა-კი დასჭირდებოდა მაღალ თანამდებობის აღმასრულებელნი, იწერავდა მოხელეთ ყოველთვის რუსეთიდამ. როგორც აღმოჩნდა, რუსეთიდამ ჩამოსულნი სრულიად ვერ აკმაყოფილებდნენ მოთხოვნილებას, რადგან ცოტანი მოდიოდნენ და ამიტომ მოძრაობის უფროსს მიუღია-რა ეს გარემოება მხედველობაში, ნება მიუცია დაბალ თანამდებობის აღმსრულებელ მოხელეთ დაიჭირონ მათი ადგილნი, მხოლოდ იმ პირობით, თუ ისინი ეგზამენს იკისრებენ. წინედ იყო გამოცხადებული, მოხელეთ შეუძლიანთ მიიღონ წარმატება სამსახურში მაშინ, როცა ტელეგრაფის ხელოვნება ეცოდინებათ. ახლა, როგორც მოძრაობის უფროსი ჰფიქრობს, ეს შეუძლებელია, რადგან იმდენი ტელეგრაფის მანქანები არ ჰქონია გზას, რომ ყველა მოხელეს შეეძლოს ამ ხელოვნების შესწავლა, ამიტომ მოძრაობის უფროს ნება მიუცია ყველა დაბალ მოხელესათვის ეგზამენი დაიჭიროს მოძრაობის რევიზორების წინაშე და შემდეგ ცალკე კომისიაში.

✦ გზათა სამინისტროს განკარგულება მოუხდენია, რომ რკინის გზის პატარა სადგურები კარგად იქმნან ხოლმე განათებული.

✦ კუკიაში, მესამე თუმანოვის ქუჩასთან, არსებობს ნემეცების სასაფლაო. ეს სასაფლაო აქ არის 1820 წლიდამ, გარშემო სულ ხალხი სცხოვრებს; ხალხის რიცხვი ისე გამრავლდა, რომ აქ შეუძლებელია სასაფლაო დამთხვდ იქმნეს. გარდა ამისა, ამ პატარა სასაფლაოზედ ადარც ადგილია საფლავებისთვის. 29 აპრილს სამი მიცვალებული დაასაფლავეს და სამივესთვის სხვის ძველი საფლავები დათხარეს. რიგია ამ უწესობას ყურადღება მიექცეს, დროა უკვე, რომ ეს სასაფლაოც გადატანილ იქმნეს აქედამ. ეს მით უფრო საჭიროა, რომ აქეთ მცხოვრებთა შორის ხსვა-და სხვა სნეულებაც ერთობ ხშირად ჩნდება.

✦ ამ რამდენისამე დღის წინად დამით ქალაქის ბაკში რამდენიმე კაცი შეპარულიყო იმ აზრით, რომ საქონელი დაეპარათ, მაგრამ დარაჯებს დროზედ შეუტყვიათ ქურდულად შეპარულების ბოროტი განზრახვა და მოულოდნელად დასცემიან თავს. ქურდებს გაქცევა მაინც მოუსწრიათ და მორიდამ თოფის სროლა დაუწყვიათ. ტყვიით დაჭრილია რამდენიმე ცხვარი.

✦ ამ დღეებში, თავ. გ. ნ. ჩერქეზიშვილის თავმჯდომარეობით მოჰხდა ქალაქის ხორცის დუქნების გამგე კომისიის კრება. კრებამ განიხილა, სხვა-და სხვა გვარ ხორცს როგორი ბეჭედი უნდა დაესვას, რომ მყიდველებს შეეძლოთ გაიგონ, ხორცი რა ხარისხისაა. კომისიამ საჭიროდ სცნო შემოიღონ სხვა-და-სხვა ფერის ბეჭედი და ამიტომ მიანდო ქიმიკოს ადიბეგოვს აუხსნას კომისიას, თუ რომელი ფერი უფრო არის ვნებელი.

✦ დროებით დათხოვნილ ამიერ კავკასიის რკინის გზის ინჟინერ აკორონკის მაგივრად, იმის თანამდებობას შეასრულებს გზის უფროსის თანაშემწე მ. ვ. კარპოვიჩი.

### ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის რწმუნებულთა წლიური მორიგი კრება.

სხდომა დაიწყო 12½ ს. ნაშუადღევისას. თავმჯდომარეობდა თ. დ. ზ. მელიქიშვილი. წაკითხულ იქმნა წარსულის წლის ანგარიში ბანკის მოქმედებისა, რომელიც უკამათოდ, ერთხმად დაამტკიცა კრებამ.

შემდეგ წაკითხულ იქმნა გამგეობის მოხსენებანი ბანკის სამოსამართლო საქმეების წარმოების შესახებ და აგრეთვე იმ მამულების შესახებ, რომელიც არ გაყიდულა და ბანკს დარჩენია. ამ უკანასკნელ საგნის გამო ზედამხედველი კომიტეტი იმ აზრისა იყო, რომ საჭიროა მოვიწვიოთ განსაკუთრებული მოურავიო; თ. ი. გ. ჭავჭავაძემ სთქვა, რომ კერძო მოურავის მოწვევა მეტია და კარგი იქნება, მამულების მართვა-გამგეობა მიენდოს დამფასებელთა კომისიას. კრებამ ამ საგნის განხილვა ერთის წლით გადასდო, რათა გამგეობამ და ზედამხედველმა კომიტეტმა შეიმუშაონ ინსტრუქცია ამ მამულების მართვა-გამგეობის შესახებ და წარუდგინონ მერმისს საზოგადო კრებას

გამგეობამვე წარადგინა პროექტი შემნახველის კასის დაარსებისა ბანკში მოხელეთათვის; კრებამ ამ საგნის განხილვა ერთის წლით გადასდო, რათა გამგეობამ და ზედამხედველმა კომიტეტმა ეს საგანი დაწვრილებით შეიმუშაონ.

შემდეგ კრებამ, მოისმინა-რა გამგეობის მოხსენება შესახებ ბანკის ოპერაციების გავრცელებისა „ჩერნომორის“ გუბერნიაში,—მოიწონა ეს მოხსენება და დაავალა გამგეობას აღძრას მთავრობის წინაშე შუამდგომლობა,—ამის თაობაზედ.

დამფასებელ კომისიის წევრთა მომატების საგანმა, რომელიც გამგეობამ წარმოადგინა, ხანგრძლივი კამათი გამოიწვია; ბოლოს კრებამ მიიღო გამგეობის აზრი და დაადგინა დამფასებელ კომისიას მოემატოს ორი დამფასებელი, რომელნიც მუდამ გამგეობის ხელქვეით უნდა იყვნენ და იგზავნებოდნენ საჭიროებისამებრ ბათუმსა და ერევანში.

კრება შესწყდა 3 საათზედ და გადაიდო საღამოს 9 საათამდე.

### სიტყვა,

რომლითაც აპრილის 28 ს ექ. ი. ს. ბეზირგანიშვილი მიესალმა ტირასპოლის რომის კათოლიკეთა ეპისკოპოსს ტფილისის სადგურზედ.

თქვენო უოვლად უსამღვდელოესობავ!

მიხარის, რომ წილად მხვდა პატივი ტფილისის რომის კათოლიკეთა მიძინების ტაძრის მრევლის სახელით მივესალმო თქვენს მშვიდობით მობრძანებას ტფილისად,—სატახტო ქალაქად იმ ძველ, მრავალ-ტანჯულ საქართველოისა, რომელიც მთელის ათასის წლის განმავლობაში აბჯარ-ასხმული გუშაგად უდგა და თავ-განწირვით სდარაჯობდა ქრისტეანობას; დრამატიზმით აღსავსეა ის განუწყვეტელი სისხლის ღვრა და ულმობელი ბრძოლა, რომელსაც უწევდნენ ძენი საქართველოისა ქრისტეანობის მტრებსა ქრისტე მაცხოვრის დიად აღთქმათა ასამაღლებლადა და განსამტკიცებლად.

400 წელზედ მეტმა ხანმა განვლო, რაც საქართველოის უკანასკნელმა კათოლიკე ეპისკოპოსმა, იტალიელმა ალბერტ-ანჯელომ აქაურობა მიატოვა და მას შემდეგ ჩვენნი წინაპარნი, როგორც დღეს ჩვენა, რემდენსამე საუკუნის განმავლობაში მოკლებულნი ვიყავით უმაღლესს ზნეობრივ ნუგეშსა—გვყოლოდა და გვეხილა ჩვენს შორის ეპისკოპოსი—ეს მოადგილე სამოციქულო ეკკლესიისა. და, დღეს-კი, როდესაც გიხილეთ ჩვენს ძვირფასს სამშობლოში, ჩვენმა გულმა ძალზედ

## ფელეტონი

### ევროპიელ მისსიონერთა მოღვაწეობა.

(დასასრული *)

თრიაქსა და მისიონერთა მოღვაწეობას დღეს მტკიცედ აქვს გადგმული ფესვი ჩინეთში. ევროპიელი „კულტურტრეგერი“, განათლების მომფენი გაუნათლებელ ხალხთა შორის, განსაზღვრული, თავისებური ტიპია. მას თავის სამშობლოში სასტიკი სკოლა აქვს გავლილი, არსებობისათვის გამწვავებულმა ბრძოლამ გაწვრთნა და განამტკიცა მისი ხასიათი, ჩაუნერგა გულში ამპარტავნობა თვისი სამშობლო ქვეყნის ცალ-კერძო კულტურით, სიამაყე თვისი განათლებული გამჭრიახობით, შორს მხედველობით. იგი ცხოვრებაში გამოცდილი, ღონიერი, მოხერხებული მებრძოლია; უჭირს სამშობლო ქვეყანაში ცხოვრება, რადგან იქ ბევრი მეტოქე ჰყავს, მასავით მოხერხებული, მასავით გამოცდილი და გამჭრიახი გონების პატრონი. თავის სამშობლოში მან ყოველი განზრახვა ასჯერ უნდა ასწონ-დასწონოს, სანამ მის განხორციელებას გადასწყვეტდეს. ათასი საფრთხე ეგულება გარშემო. ცხოვრების მოთხოვნილება მრავალგვარი და რთულია მის სამშობლოში. ადამიანი იმისთანა მდგომარეობაშია, ისეა გაწვრთნილი ამ ცალ-კერძო ცხოვრების გავლენით, რომ თუ რამე დააკლდა, რაც მის მეზობლებსა აქვს, იტანჯება, ვერ ითმენს შევიწროებას, ყოველნაირი ხერხი უნდა იხმაროს, ყოველნაირი ღონე უნდა იღონოს, რომ არ ჩამორჩეს სხვებს, არ დაიჩაგროს არსებობის ბრძოლაში. მთელი მისი სულიერი არსება განუწყვეტელ მოძრაობაშია, რადგან ბევრი მოწინააღმდეგე, ბევრი მტერი ჰყავს. ამიტომაც არის, რომ ამგვარი ადამიანი ადვილად მიისწრაფის შორს, გაუნათლებელ ქვეყნებისაკენ. იქ გადაეშლება ფართო ასპარეზი მოღვაწეობისათვის, ამ ქვეყნებში სუფევს ძველი, მამა-პაპათაგან ნაანდერძევი პატრიარქალური წესწყობილება, რომლის სუსტ მხარეებს ნათლად ხედავს ევროპიელი კულტურტრეგერი, იცის, როგორ უნდა გამოიყენოს თავის საკეთილდღეოდ. ამ ქვეყნებში ევროპიელი პირველობს, როგორც ხანში შესული, ცხოვრებაში ნაწრთობი ადამიანი ბავშვთა შორის. ბავშვის გარყვნა, მრუდე გზაზე დაყენება ადვილია გამჭრიახი ადამიანისათვის. იგი მტკიცე წინააღმდეგობას ვერ გაუწევს თავის არამკითხე სტუმრებს, მალე გაებმის მათგან გონივრულ მოსაზრებით გაბმულ ბადეში. არაყი, თრიაქი მძლავრი მიმზიდველი სამაცდუროა გაუნათლებელ პატრიარქალურ ადამიანისათვის. ინგლისელმა ვაჭრებმა კარგად იცოდნენ, რას შვრებოდნენ, როცა ჩინეთში ოპიუმის გავრცელებას შეუდგნენ. ამ მასალით ისინი ძირს უთხრიან ხალხის ჯან-საღობას, მათ სულიერ სიმტკიცეს და ამნაირად თავისი ბრძანებლობა განამტკიცეს უცხო ქვეყანაში.

ჩინელების გარყვნაში მოზიარენი არიან ევროპიელი საერო და სამღვდელონი. საეროთ ერგოთ ჩინელის სხეული, სამღვდელოთ-კი—მისი ალალ-პატრიარქალური სული.

ვის უნდა მოერიდონ მისსიონერები ჩინეთში, ვისი უნდა შერცხვეთ, როცა ისინი თავის განათლებულ ქვეყანაშიაც არავის ერიდებიან, არავისი რცხვენიათ.

საფრანგეთში, მაგალითად, არსებობს დამათრობელი სასმელების ქარხნები მონასტრებში, რომელთაც ბერები პატრონობენ და ამ ხელობით სიმდიდრეს იძენენ.

ქრისტეს რჯული ერთგვარ დიპლომად გახადეს მისსიონერებმა ჩინეთში. გაქრისტიანებული ჩინელი მისსიონერთა მფარველობის ქვეშ იმყოფება. მას უპირატესობა ეძლევა მის გაუქრისტიანებელ თანამემამულეთა წინაშე. მისსიონერები, როგორც თავიანთ სახელმწიფოთა გავლენიანი წარმომადგენელნი, ყოველნაირ საშუალებით იცავენ თავის „სულიერ“ შვგირდებს. ხშირად მოხდება ხოლმე ჩინეთში, რომ მტყუანი მომჩივარი, ქრისტეანი ჩინელი, საქმეს იგებს და სჩაგრავს ბუდდისტ ჩინელს, რადგან მას მოსარჩლედ მისი „მოძღვარი“ მისსიონერი ჰყავს. ადგილობრივი ჩინელი მთავრობა ვერ უბედავს მისსიონერთ წინააღმდეგობას, რადგან იცის, რა სახიფათო საქმეში გაახვევს მას ეს „ევროპიელი ქრისტეანები“. ამ ნაირად, მისსიონერთა წყალობით ქრისტეს რჯულის აღსარება ერთგვარ ურცხვობის პატენტად გადაიქცა ჩინეთში. ამ პატენტის პატრონი ბატონობს ცხოვრებაში, ბევრი უპირატესობა აქვს თავის „უპატენტო“ მოძმეთა წინაშე. ადვილად წარმოსადგენია, რა განხეთქილება, რა მტრობა უნდა გამოეწვია თვით ჩინელთა შორის მისსიონერთა ამ სამარცხვინო მოღვაწეობას. უკანასკნელმა არეულობამ 30,000 ქრისტეანე ჩინელნი იმსხვერპლა; მეამბოხე ბოქსერები უწყალოდ სჭრიდენ თავს გაქრისტიანებულ მოძმეთა.

როცა ევროპიელი ჯარები დათარეშობდენ ჩინეთში, მათ თან დასდევდა ქრისტეანე ჩინელთა ბრბო, რომელიც წინ და წინ უთვლიდა ხოლმე მდიდარ ჩინელებს, ამდენ და ამდენი ფულს თუ არ დაგვითვლით, ევროპიელებთან დაგაბეზღებთ, როგორც მეამბოხე ბოქსერებსაო და თქვენ ბედს მაშინ ძაღლი დაჰყეფსო. რასაკვირველია, რომ თავზარდაცემულნი მდიდარი ჩინელები ხმა-ამოუღებლად ემორჩილებოდენ თავიანთ გაქრისტიანებულ მოძმეთ.

მისსიონერთა მკვლელნი სასტიკად დაისჯებიან ხოლმე ჩინეთში, ევროპიელ სახელმწიფოების წარმომადგენელთა მოთხოვნილებით. მაგალითად, შარშან ორი ინგლისელი მისსიონერის მკვლელობისათვის ჩინელ პროვინცია ხუნანში სიკვდილით დასაჯეს. განდევნეს და ღირსება ახადეს 6 ადგილობრივ მთავრობის წარმომადგენელს, სიკვდილით დასაჯეს 9 კაცი და ხალხს 100,000 მან. ჯარიმა გადაახდევინეს.

ამნაირი გახლავთ განათლებული ქვეყნების მთავრობათაგან აღიარებული სარწმუნოება. ისინი მოსეს რჯულსაც არ სჯერდებიან—„თვალი-თვალისა წილ და კბილი კბილისა წილო“. მოსეს რჯულზე უფრო ძველ ველურ რჯულს აღიარებენ: ოცი თვალი ერთი თვალისა წილ და ოცი კბა ერთი კბილისა წილო.

ყოველთვის, როცა რაიმე არეულობა მოხდება ხოლმე ჩინეთში მისსიონერთა მოქმედებით გამოწვეული, ევროპიელ სახელმწიფოთა წარმომადგენელნი გამოიჩენენ ხოლმე თავის მძლავრ კლანჭებს, სცდილობენ თავიანთ სახელმწიფოთა ეფლობელობა გააფართოვონ, ამ თავისი ბრძანებლობა უფრო განამტკიცონ ამ ქვეყანაში.

ყველამ ვუწყით, რა საშინელი ხალხის მოძრაობა იყო ჩინეთში ევროპიელთა წინააღმდეგ. უმიზეზოდ, ტყუილა-უბრალოდ ხალხი თავის დღეში არ აღელდება ხოლმე. ხალხის, ადამიანის მოთმინებას საზღვარი აქვს და ეს ჭეშმარიტება დაივიწყეს ევროპიელ სახელმწიფოთა საერო და სასულიერო მოხელეებმა ჩინეთში და საზარელი სისხლის ღვრა გამოიწვიეს.

ვისაც რუსი მოგზაური მიკლუხო-მაკლაის ბიოგრაფია წაუკითხავს, ნათლად დაინახავდა, თუ რა კეთილი, ზნეობრივი გავლენის

*) იხ. „ივერია“ № 90.

იწყო ცემა; თქვენდამი უმაღლესად რწმუნებულ ეპარქიის უძველეს მრევლის გული უდიდესის სიხარულითა და ნეტარებითაა აღსავსე.

ასეთ გრძნობებით გამსჭვალულს ნება მიბოძეთ, თქვენო მეუფებავ, ქართველ-კათოლიკეთა—წმიდა რომის კათოლიკეთა ეკლესიის ერთგულ ძეთა სახელით უგულითადესი მადლობა შემოგწიროთ აქ მობრძანებისათვის, რომლითაც სანეტარო და ცხოველ-მყოფელი ..ლღენი მოანიჭეთ ყოველს ჩვენგანსა.

## რა ტიპის სასწავლებელი უფრო საჭიროა ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობისათვის?

კიდევ რამდენიმე დღე—და ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წარმომადგენელნი გადასწყვეტენ იმას, თუ რა ტიპის სასწავლებელი უფრო საჭირო არის ჩვენის თავად-აზნაურობისათვის. ამის შესახებ მოისმენს თვის მიერ დანიშნულ კომმისიის შემუშავებულ სასწავლებლების დირსება-ნაკლულევანებას გიმნაზიისას და სამეურნეო სასწავლებლებისას, არის აგრეთვე სხვა სასწავლებლებს პროექტებიც პროგიმნაზიისა და მოსამზადებელ სასწავლებლისა. უკანასკნელ კრებაზედ კომმისიის უმეტესობა შეჩერდა გიმნაზიაზედ, რომელიც უფრო სასარგებლოდ სცნო თავად-აზნაურობისათვის, ვიდრე სხვა სასწავლებლები. კომმისიის აზრი, რასაკვირველია, სავალდებულო არ არის და ადვილად წარმოსადგენია, რომ საზოგადო კრება თავად-აზნაურობისა სულ სხვა ტიპზედ შეჩერდეს.

ჩემის მხრივ მე არ შემიძლიან აქ არ წარმოვსთქვა ჩემი აზრი იმაზედ—თუ რა ნაირი სასწავლებელი უფრო საჭირო არის ახლა ჩვენის თავად-აზნაურობისათვის.

რა თქმა უნდა, საშუალება რომ ჰქონდეს ჩვენს თავად-აზნაურობას, ვალდებული იქნება დაიარსოს თითქმის ყოველ ნაირის ტიპის სასწავლებლები—საზოგადო განათლებისა და სხვა-და-სხვა საპროფესიოსალო, მაგრამ ჩვენი სიღარიბე და სიღატაკე ნებას არ გვაძლევს ჩვენის საშვალებით სასწავლებლები დავაარსოთ, პირ იქით ერთად-ერთი სასწავლებელიც—ქუთაისის თავად-აზნაურთა სასწავლებელი—კიდევ ვერ მოგვიწყვია ნორმალურად.

თუმცა თითოეულს ჩვენს თავად-აზნაურს, სწავლულს და უსწავლელს, ნათლად აქვს წარმოდგენილი დანიშნულება განათლებისა, სავსეა სურვილით „კაცად“ გამოიყვანოს შვილი, სიღარიბის მიზეზით იძულებულია კვნესით და ოხვრით უყუროს იმ სასწავლებლის კედლებს, რომლებშიაც იზრდებიან მის მოძმეთა შვილები, შვილები მუშა ხალხისა: დიაღ, სიღარიბე არის ჩვენი დამღუპველი, მაგრამ რა არის მიზეზი თავად-აზნაურობის სიღარიბისა?

ერთი ისა, რომ ჩვენი ერთად ერთი ფულის შემომტანი წყარო-მეურნეობა—დღემდის ფერ უცვლელად მიმდინარეობს იმ წეს-რიგით, რომელიც შთამამავლობით გადმოგვეცა მამა-პაპადგან.

მეორე ისა, რომ ჩვენი მოთხოვნილება—კერძო და საზოგადო პროგრესიულად და შეუჩერებლად მატულობს დღითი დღე.

მესამე ის, რომ თუმცა ეს ასეა, ჩვენ, როგორც მხოლოდ მეურნენი, დაშორებულნი ვართ იმ მეურნეობის კულტურას, რომლითაც ამაყობს დღეს სხვა ერი.

მეოთხე ის, რომ ამ მიზეზით დასაკმაყოფილებლად ჩვეულებრივზე მეტის მოთხოვნილებისა—ქორწილისა, ავადმყოფობისა, ტირილისა, სასამართლოებში სიარულისა და ადვოკატობისა, სტუმრიანობისა და დღესასწაულებისა და სხვა-და-სხვა გარემოებისა—ჩვენი თავად-აზნაური ნაწილ-ნაწილად ჰყიდის თავის მიწა-წყალს და ამით შეუმჩნევლად ეცლება ხელიდან უკანასკნელი ლუკმა.

უპირველესი მოთხოვნილება—შვილების აღზრდა და ბოლომდის, როგორც საზოგადოდ სხვა ამის მსგავსი კულტურული მოთხოვნილება, რომელიც დამოკიდებულია მხოლოდ მიწის მოსავლისა და მის ფასზედ, უმეტესად რჩება დაუკმაყოფილებლად. თუ რომ ჩვენს თავად-აზნაურს ტანჯვითა და მწუხარებით ეძირსა შვილის გამოზრდა გიმნაზიაში ან სხვა საშუალო სასწავლებელში, ვერ ახერხებს უმაღლეს განათლების მიცემას შვილისთვის და უამისოდ-კი გიმნაზია და სხვა საშუალო სასწავლეთელი საზოგადო განათლებისა სრულებით საკმარისი არ არის ეხლანდელ დროში ცხოვრებისათვის.

მაგრამ, განა ცოტაა ისეთი შემთხვევაც, როდესაც მშობელს, რომელმაც ყოველი საშუალება შესწირა შვილის მომზადებას, კიდევაც შეიყვანა გიმნაზიაში, მაინც კურს დაუმთავრებელი დაუბრუნდა ისევ უკან სახლში? სწავლა დაუმთავრებელი უმაწვილი, რომელიც ვერ მოულობს რიგიანს ადგილს, გაურბის სოფელს, რჩება ქალაქ ადგილას, შის ათას ხაირ მომხიდველ გასართობსა და განცხრომაშია მასამდე, სანამ არ მამოეღევა უკანასკნელი ქცევა მიწა. თუ სოფელში შიდის, თავისს ოჯახში, როგორც უვიცი მეურნეობაში, უფრო ჩქარა უღებს ბოლოს თავის მამულს, ვიდრე მისი მშობლები.

ამ გარემოებამ უსათუოდ უნდა დააფიქროს ჩვენი თავად-აზნაურობა და უსათუოდ უნდა მოაძებნინოს ისეთი ღონე, რომ მესწყდეს მამულების ფლანგვა, მოუმატოს მის შემოსავალს და ფასს ჭირნახულისას, შეაჩეროს სისტემატიური სირბილი უმაწვილებისა ქალაქებისაკენ უსაქმურად დროს გასატარებლად. მჭარე დაკვირვების მაგალითების ძალით, დავრწმუნდით, რომ დღეს ჩვენის თავად-აზნაურობისთვის და მომავალის ბედნიერებისათვის, მის სწავლა-განათლებისათვის და სხვა-და-სხვა მრეწველობის წინ მსვლელობისათვის, უპირველესი საჭიროებაა, რაც შეიძლება მალე, გრცლად მესწავლა მეურნეობისა და მისი ცალკე დარგებისა. მეურნეობის რიგიან ფეხზე დაყენება არის მეურყევეელი საძირკველი, რომელზედაც უნდა დაშყარდეს და დამყარდება ძლიერად კულტურული წინ მსვლელობა ჩვენი ღარიბ თავად აზნაურობისა,—ის არის კიბე, რომელიც მიიყვანს უმაღლეს წერტილამდე აღორძინებასა, სიმაგრესა.

როდესაც ევროპაში მოგზაურობის დროს ინგლისელებმა პეტრე დიდს ჰკითხეს: „რატომ თქვენს მძლავრს ერს განათლებას არ აძლევთ, რატომ ჯერ ხელობის გავრცელებით იწყებთ თქვენს მეფობასო“, მან მიუგო: „ამით მე ჩემს ქვეშევრდომებს გავასუქებ, ფიზიკურად გავამაგრებ, მატერიალურად ავამაღლებ და ეს გარემოება გამიადვილებს განათლების გავრცელებასაო“. ჭეშმარიტი აზრია—ტეხნიკა და საზოგადოდ უოველნაირი ხელობა, მატერიალურად წინ სწევს კაცობრიობას, ის ჰბადავს კულტურას და მაღალ მოთხოვნილებას და მათი დაკმაყოფილება, როცა სიმრთელე და სიმდიდრე, ხომ ადვილია.

დაბალი და საშუალო სასწავლებელი მიუცილებლად საჭიროა ერისთვის,—საზოგადო განვითარებასთან აძლევს შაგირდს იმ ელემენტებს, რომელთა შემწეობით გამოიცნობს და შეაფასებს თვის „მე“-ს. ასწავლის მრავის სიყვარულს და მისცემს სურვილს ცოდნისას, მაგრამ ნამდვილ ცოდნას—პრაქტიკულს და არა თეორიულს. ჩვენთვის დღეს ისეთი სასწავლებელი არის საჭირო, რომელიც ერთსა და იმავე დროს გვაძლევს საზოგადო განათლების ელემენტებს და მასთან ერთად პრაქტიკულ ცოდნას, ცოდნას ცხოვრებაში გამოსადეგს. ამ ნაირი სასწავლებელი არის სამეურნეო სასწავლებელი და იმან უნდა დაუთმოს ადგილი სხვა ტიპის სასწავლებლებს.

ვიმეორებ: ეს არის მოთხოვნილება ცხოვრებისა, ეხლანდელის ჩვენი მდგომარეობისა და მომავალის ბედისა. სასწავლებლის ტიპის ამორჩევის დროს უნდა წარმოვიდგინოთ უმრავლესობა თავად-აზნაურობისა და ეს უმრავლესობა თხოულობს მატერიალურად გაძლიერებას. *).

ნიკო.

*) როგორც ვიცით, არა ნაკლებს ყურადღებას აქცევენ ახლა ევროპასა და ამერიკაში დედათა სამეურნეო და საოჯახო სასწავლებლებს; მსგავსის ტიპის ერთი მაინც სასწავლებელი, ჩვენის ფიქრით, აუცილებლად საჭიროა ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთათვის და ამიტომ, იმედია, ამაზედაც იქნება ბაასი საზოგადო კრებაზედ. ნ. მ.

## რუსეთი

სამიწად-მოქმედო სამინისტროს სამთო კომიტეტში შედგა მუდმივი კომისია, რომელმაც უნდა გამოიკვლიოს სამთო ქარხნებში და მადნების სამუშაოში მომხდარ უბედურ შემთხვევათა მიზეზები და აღმოაჩინოს საშუალებანი ამ შემთხვევათა ასაცილებლად.

— ზღვათა სამინისტრო მართავს უმავთულო ტელეგრაფს პროფ. პოპოვის სისტემისა ქ. პეტერბურგისა და ქ. კრონშტადტს შუა.

— სამხრეთ რუსეთში ახლად შემდგარი საზოგადოება მართავს მტრედების ფოსტას შავი ზღვის ზოგიერთ ნავთ-სადგურებსა და ბოლგარიის ქალაქ ვარნას შუა.

— ქ. პეტერბურგში 20 აპრილს ლიტერატორთა კრება მოხდა, რომელსაც 200 კაცი დაესწრო. კრებამ მოისმინა კიშინევში თავდასხმის დამსწრეთაგან დაწერილებითი აწერილობა ამ უბედურებისა და დაზარალებულ ებრაელთა დამხმარებელ კომიტეტს წერილი გაუგზავნა, რომელშიაც გამოუცხადა თანაგრძნობა საზარელ თავ-დასხმის უბედურ მსხვერპლთ და ზიზღი იმ ორგანოთა მიმართ, რომელნიც ხალხში ებრაელთა მძულვარებას სთესავენ. კრებას დაესწრნენ რუსთა გამოჩენილი მწერლები. აქვე შეკრიბეს ფული და გაუგზავნეს დამხმარებელ კომიტეტს ქ. კიშინევში.

## უცხოეთი

**ბულგარია.** ბოლგარიის ნახევრად ოფიციალურ გაზეთ „Б. Т. В.“-ში დაბეჭდილია შემდეგი ცნობა მაკედონიიდგან:

იმის გამო, რომ ოსმალეთის მოხელენი დღითი-დღე უფრო მეტ სიმკაცრესა და ძალმომრეობას იჩენენ ოსმალეთის მკვიდრ უმწეო ბულგარებზედ, მეამბოხეთა მეთაურებმა საბოლოოდ გადასწყვიტეს არავითარ სამხედრო და სადიპლომატო მუქარას არ მიაქციონ ყურადღება და უეჭველად მთელი მაკედონია აიკლონ. ეს დადგენილება მოხდა მეამბოხეთა ფარულ კამიტეტების საერთო კრებაზე მარტის 31-ს. ხელმოწერილია ყველა უფროს მეთაურთაგან და უკვე ეცნობა მაკედონიაში მომქმედ რაზმების წინამძღოლებსა და მაკედონიის გავლენიან მკვიდრთა. ამ დადგენილებაში, სხვათა შორის, ნათქვამია: „ან ყველანი უნდა გავსწყდეთ მაკედონიის მთებსა და ხეობებში, ან სამუდამოდ უნდა შევმუსროთ ოსმალეთის მთავრობის უტანელი რეჟიმი, რომელიც რამდენსამე საუკუნის განმავლობაში სისხლსა გვწოვს და გვახრჩობს“. პირი ამ დადგენილებისა გაეგზავნა არამც თუ მარტო სტამბოლს, სოლუნსა და ბიტოლიას, არამედ მაკედონიაში მყოფ ოსმალთა სარდლებსაც. მხოლოდ ამ თავგანწირულობით აიხსნება იშვიათი სიმამაცე მეამბოხეთა, რომელნიც თითქმის ყოველთვის გამარჯვებულნი რჩებიან ოსმალთა ჯარებთან შეტაკების დროს, თუმცა ეს უკანასკნელნი ბევრით სჭარბობენ ხოლმე პირველებს.

**იტალია.** პალატის უკანასკნელ კრებაზე ახალმა გარეშე საქმეთა მინისტრმა დეპუტატ ფორტისის საპასუხოდ აღმოსავლეთის საქმეებში იტალიის პოლიტიკის შესახებ შემდეგი განაცხადა: „დედა აზრი ჩვენის პოლიტიკისა ისაა, რომ აღმოსავლეთის საქმეებში ჩაბმულ დიდ სახელმწიფოებთან ერთად შეთანხმებით ვიმოქმედოთ, და თუ სულ ვერ მოვსპობთ არეულობას, იმდენად მაინც შევამციროთ, რომ საქმე არ გართულდეს და დიდი სახელმწიფოები არ შეეტაკონ ერთმანერთსო. მაკედონიის მდგომარეობა, რასაკვირველია, მეტად საშიშოა, მაგრამ ჯერ-ჯერობით იმდენად არ გამწვავებულა საქმე, რომ ხელის გამოღება საჭიროდ მიგვაჩნდეს, რადგან დიდ სახელმწიფოებს გულწრფელად სწადიანთ მშვიდობიანობის აღდგენა და ჩვენც ისა გვსურს, რომ Status guo იქმნას დაცული, ვინაიდგან ყველას იგი მიაჩნია მშვიდობიანობისა და წესიერების დამყარების საუკეთესო თავმდებადო.

**ოსმალეთი.** გაზ. „U. Z.“-ს კორესპონდენტი შემდეგს იუწყება უსკიუბიდგან:

„ხელში ჩამივარდა ალბანელთა მოწოდების ფურცელი, რომელსაც, ადგილობრივ ჩვეულებისამებრ, განსაკუთრებული მეგანგაშე (ეგრედ წოდებული თელალი) იპეკის ქუჩებზე ხმამაღლა უკითხავდა ხალხსა. აი, შინაარსი მოწოდებისა:

„ისმინეთ, სოფლელნო და მოქალაქენო! ალბანიის ხალხმა შემდეგი დაადგინა: ყოველი თქვენგანი საომრად უნდა იყოს გამზადებული. როდესაც მეგანგაშე (თელალი) მეორედ აიმაღლებს ხმასა, ყველამ, დიდმა და პატარამ, 17 წლიდგან მოყოლებული 70-მდე, საჩქაროდ უნდა აისხას იარაღი და თავი მოიყაროს ბაირაღ ქვეშ, რომელიც უკვე მზადაა. იმ დროს ყველამ უნდა დაივიწყოთ პირადი ანგარიში და უარჰყოთ შურის ძიება. ვინც ასე არ მოიქცევა, ადგილი არ ექნება ალბანელთა შორის. ყოველივე უნდა დაივიწყოთ, ვინაიდგან შვიდი მეფე (დიდი სახელმწიფოები) შეერთდა ჩვენს წინააღმდეგ, მაგრამ ჩვენ ამის არ გვეშინის. თუგინდა შვიდნი-კი არა, სამოცდაათჯერ სამოცდაათნიც იყვნენ!..

**საბერძნეთი.** გაზ. „Patrie“-ს ატყობინებენ ათინიდგან,—საბერძნეთის მთავრობამ განიზრახა სამხედრო გემი გაჰგზავნოს სალონიკსაო. საბერძნეთის მკვიდრნი და მთავრობა მეტად მტრულად შეჰყურებს მაკედონელ ბულგარებსა და იმედოვნებს, რომ დიდი სახელმწიფოები სრულს უფლებას მისცემენ ოსმალეთს, რათა ჯეროვანის სიმკაცრით მოეპყრას მეამბოხეთ და შეუბრალებლად სდევნოს სარევოლიუციო კომიტეტებიო.

პოლიციას დაუპატიმრებია პირეიში ოთხი ბულგარელი, რომელნიც სალონიკიდგან მოსულან სწორედ იმ დროს, როცა გემიდგან აპირობდნენ გადმოსვლას. მთავრობას სასტიკი ბრძანება გაუცია,—გაფაციცებით ადევნეთ თვალ-ყური ოსმალეთ-საბერძნეთის საზღვრებს, რომ ამ გზით მეამბოხენი არ შეერიონ მაკედონიასაო.

**იტალია.** იტალიის გაზეთობას ცხარე კამათი აქვს იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა და შედეგი ექნება გერმანიის იმპერატორის წვევას. ვატიკანის ორგანოები დიდად მეაქებენ გერმანიასა და მის იმპერატორს. სხვათა შორის, გაზ. „Os. Cat.“-ი შემდეგსა სწერს:

მას შემდეგ, რაც პაპის ლეონ მე-XIII-ის ოცდახუთის წლის მეცადინეობამ საფრანგეთის სახელის აღსამაღლებლად არამც თუ ამაოდ ჩაიარა, ყოველი მისი წინადადება ზიზღით უარყოფილ იქმნა,—აღმოჩნდა, რომ გერმანიის ახალგაზრდა იმპერია, ძველად პაპის წინააღმდეგი, ეხლა მოწადინებულია დაუმეგობრდეს პაპსა.

დაცინვაა ისტორიისა და დიპლომატიისა! იგი, რაც საფრანგეთს უნდა გაეკეთებინა, ეხლა გერმანიის მიერ იქნება შესრულებული...

ლუბეს როლი იკისრა გერმანიის იმპერატორმა, რომელსაც დიდად ხელს უწყობს საფრანგეთის რევოლიუციონერთა მოძრაობაცაო.

**ინგლისი.** გაზ. „M. S.“-ს შეუდარებია ინგლისისა და საფრანგეთის აღებ-მიცემობა და ამის შესახებ იუწყება: რადგან 1898 წ. ამ ორ სახელმწიფოთა ურთიერთობა მეტად გამწვავდა, პარიჟში არსებულმა ბრიტანიის სავაჭრო პალატებმა გადასწყვიტეს დაეწყოლიყვნენ საფრანგეთის მეგობრულ განწყობილობაში საფრანგეთის ვაჭრების დაცვის თავიდან ასაცილებლად. ამ ..ლიდან დაიწყო მათი დაახლოვებაო.

გაზ. სიტყვით,—საფრანგეთ-რუსეთის კავშირის ინგლის-საფრანგეთის კავშირზედ შეცვლა შეუძლებელია, რადგანაც საფრანგეთ-რუსეთის კავშირს საფრანგეთში დიდის პატივით ეპყრობიანო. მაგრამ ეხლავ უნდა შეეცადნენ სხვა-და-სხვა საცილო საგნების თავიდგან აცილებას; ამისათვის საჭიროა ამ ორმა სახელმწიფომ მოილაპარაკოს ერთმანეთში და მომავალში მაინც მეგობრული განწყობილობა განამტკიცოს.

**სერბია.** სერბიის სამინისტროები მეტად აირივ-დაირია: რადიკალურ მინისტრებს მარკოვიჩის კაბინეტისათვის თავი გაუნებებიათ. მათში უფრო უკიდურესი და გავლენიან ლაზაროვიჩის ადგილს, როგორც ისმის, რისტიჩის გულითადი მეგობარი და 'ვლადან გიორგიევიჩის კაბინეტის წევრად ნამყოფი ლიბერალი ჟივანჟივანოვიჩი დაიჭერსო. თვით მარკოვიჩის გავლენაც შეირყა. ის თავის დამოკიდებულობით ალექსანდრე მეფეს თვალში ეჩხირება და, როგორც ამბობენ, ჰსურს მის ადგილას რეგენტად ნამყოფი გენერალ ველიმარკოვიჩი დანიშნოსო. ამ გენერალს დაუკვეხნია,—ერთხელ როდისმე ბელგრადის ქუჩებზე ჩემი მახვილი რადიკალთა სისხლით უნდა დავფეროვო. რადგან ამ გენერალს არავითარი სიმტკიცე არა აქვს ხასიათისა, ეჭვს გარეშეა, რომ მეფის ყურ-მოჭრილი მონა გახდებაო.

**ბულგარია.** სოფიის კარს მყოფმა ოსმალეთის კომისარმა გადასცა ბულგარიის მინისტრ-პრეზიდენტს პორტას მიერ წარდგენილი საწინააღმდეგო ნოტა ასაფეთქებელ ნივთიერებათა ბულგარიიდან მაკედონიაში შეტანის გამო. დანევმა ეს ნოტა არ მიიღო და თვით დაავალა ხონთქარის კარზედ მყოფ ბულგარიის წარმომადგენელს,—ბეჯითად წინააღუდეგ იმ ხმებს, რომელიც ბრალსა სდებს ბულგარიას მაკედონელთა დახმარებაშიო; ბულგარია არავის საქმეში არ ერევა და ისე არ მოტყუვდება, რომ მაკედონიის გულისათვის ოსმალეთს გაუმკლავდესო.

## ნარევი და ნაკვესი

ხალხის გამრავლება მთელ დედამიწაზედ. ფრიად საინტერესო მოხსენება წაიკითხა ამ საგანზედ ლონდონის საიმპერატორო სასტატისტიკო საზოგადოებაში მაიორმა კრაიგიმ. როგორც მის მიერ მოყვანილ ცნობებიდგან სჩანს, მე-XIX საუკუნის პირველ ნახევრიდგან ხალხი ძალიან გამრავლებულა. სტატისტიკას, განსაკუთრებით-კი იმ სტატისტიკას, რომელიც უკულტურო ხალხს შეეხება, ძალიანაც არ დაეჯერება, მაგრამ საზოგადოდ-კი შეიძლება დავასკვნათ, თუ რამდენად იმატა ამ 70 წელიწადში მცხოვრებთა რიცხვმა. ამ სამოც-და-ათის წლის განმავლობაში ევროპა 216 მილიონიდგან 400 მილიონამდის ასულა; აზიასა და აფრიკაზედაც ანალოგიით შეიძლება ითქვას, რომ ასევე თვალსაჩინოდ იმატა მკვიდრთა რიცხვმა. ამერიკაში 1830 წლიდგან მცხოვებთა რიცხვი სამ ნახევარჯელ გამრავლდა. 1830 წ. მთელი ხმელეთის მცხოვრებთა რიცხვი 847 მილიონს უდრიდა, ახლა-კი 1600 მილიონამდის ავიდა.

თუ ინგლისს, გერმანიას, საფრანგეთს და ავსტრია-უნგრეთს შევუდარებთ ერთმანერთს, პირველი ადგილი ხალხის გამრავლებით გერმანიას უჭირავს; მან 1830 წლიდგან 80% იმატა; მეორე ადგილს დაიკავებს ინგლისი, რომელმაც 70,5% მოიმატა, შემდეგ ავსტრია-უნგრეთი იქნება, აქ 53,3% მოიმატა და ბოლოს საფრანგეთი მოექცევა, სადაც 20% არის ნამატი.

ეს ციფირები გვიჩვენებს, რომ, მაგალითად, ინგლისში, იქ, სადაც ათი კაცი სცხოვრობდა, ახლა ჩვიდმეტძა უნდა იცხოვროს. ხალხის უცები გამრავლება უფრო ქალაქებს ემჩნევათ. მომხსენებლის მაიორ კრაიგის ფიქრით, ქალაქებში ცხოვრება შეუძლებელი იქნებოდა, რომ მიმოსვლა გზებზედ არ გაუმჯობესებულიყო და საზრდოს შოვნაც არ გაადვილებულიყო სხვა-და-სხვა ტეხნიკურის მოგონებით. ლონდონსა, პარიჟსა, ბერლინსა და ვენაში ამ ჟამად 11 მილიონი მცხოვრებია. ახლა სულ 149 ქალაქია, სადაც 100,000-ზედ მეტი მცხოვრებია. წასულ საუკუნის დამდეგს-კი მხოლოდ 21 ქალაქი იყო ასი ათას მცხოვრებლიანი და ამ ქალაქებში, 5 მილიონის მაგიერ, ახლა 47 მილიონი მცხოვრებელია. ლონდონში ამ ჟამად $4^1/_2$ მილიონი მცხოვრებია. ხალხის ამ-

---

..ოპოვება შეუძლიან თვით ველურ ხალხზედაც-კი ჭეშმარიტად განათლებულ ადამიანს. მიკლუხო-მაკლაი სცხოვრობდა და მოღვაწეობდა ავსტრალიელ ველურ ხალხთა შორის. პირველად რომ ეწვია იგი ველურთ, ისინი მტრულად დაუხვდნენ მას. გასაკვირველიც არ არის, ევროპიელთა მხრით მათ მტრობისა და სიძულვილის მეტი არაფერი უნახავთ და მიკლუხო-მაკლაიც მის პირად განზრახვათა განსახორციელებლად ეგონათ მოსული. როცა მიკლუხო-მაკლაი გემიდან ნაპირზე გადმოვიდა, მხლებლები არ გაიყოლა თან, მარტო დაუხვდა ველურ მცხოვრებლებს და თუმც იარაღი ხელში ეჭირა, მაშინათვე მიწაზე დაყარა და უცდიდა ხალხს. მისმა საქციელმა მეტად გააკვირვა ველური მკვიდრნი. იმათ ალყა შემოარტყეს მიკლუხო-მაკლაის, ცეკვავდნენ მის გარშემო და შუბით სჩხვლეტდნენ, მაგრამ მიკლუხო-მაკლაი ჩუმად და წყნარად იდგა და ითმენდა ყველაფერს. რომ ვერაფერს გახდნენ, ველურებმა წაიყვანეს იგი თავის სოფელში და ისე ეპყრობოდნენ, როგორც რაღაც უცნაურ, არა ჩვეულებრივ მოვლენას. ხედავდნენ ნათლად, რომ მას შეეძლო გემიდან თავის მფარველი შეიარაღებული ამხანაგები წამოეყვანა და მარტოდ-კი არჩია ყოფნა, უშიშრად გაემგზავრა მათ სოფელში. მიკლუხო-მაკლაიმ მალე გაიცნო და შეაყვარა თავი თავის მასპინძლებს. ისინი დარწმუნდნენ, რომ იგი მშვიდობიანი, კეთილი კაცია და მათ მეგობრულ თვალით უცქერის. მიკლუხო-მაკლაიმ ექიმობა იცოდა და უვლიდა ავადმყოფ ველურთ. ხალხმა მალე შეითვისა მიკლუხო-მოკლაი და შეიყვარა თავისი გულ-კეთილი სტუმარი.

ერთი შემთხვევა მოხდა, რომელმაც კიდევ უფრო აამაღლა მიკლუხო-მაკლაი ხალხის თვალში. ერთმა მოხუცებულმა ველურმა ქალმა თავისი ახალგაზრდა ქალიშვილი მოუყვანა მიკლუხო-მაკლაის პატივის ცემის ნიშნად და ნიშნებით გააგებინა, შენთან გყავდეს, და როგორც გსურდეს, ისე დრო გაატარე და ისიამოვნე მასთანაო. მიკლუხო-მაკლაიმ ითაკილა ეს წინადადება, და შეატყობინა ბებერ ქალს, მე ამისთანაბს არა ვარ ჩვეული და შენი ქალი-შვილი ისევ მშვიდობით წაიყვანე სახლშიო. დედა-ბერი მეტად გაოცებული დარჩა. მას თავის დღეში არ ენახა ამისთანა ზნეობრივი ადამიანი. მალე მთელმა სოფელმა გაიგო ეს ამბავი და მიკლუხო-მაკლაი რაღაც ცით მოვლენილ არსებად აღიარა და შემდეგ უფრო მეტის პატივის ცემითა და მოკრძალებით ეპყრობოდა მას. მკითხველი ადვილად წარმოიდგენს, თუ რა კეთილი, ზნეობრივი გავლენა უნდა ჰქონოდა ამ გულუბრყვილო ხალხზე ასეთ ადამიანს, როგორიც მიკლუხო-მაკლაი იყო. იგი იყო ნამდვილი ქრისტეს რჯულის გამავრცელებელი საქმით, პირადი მაგალითით. როცა რამდენიმე ხნის შემდეგ მიკლუხო-მაკლაი ევროპაში გაემგზავრა, მისი წასვლა ძლიერ სამწუხაროდ დაურჩა მის მასპინძელთ. ორი წლის შემდეგ მიკლუხო-მაკლაი ისევ დაბრუნდა თავის ველურ ძველ მეგობრებთან. მათ არ იცოდნენ მისი დაბრუნება და გემი რომ დაინახეს, ნაპირზე შეგროვდნენ და მზად იყვნენ მტრულად დახვედროდნენ უცხოელებს, და, როცა დაინახეს მიკლუხო-მაკლაი მარტო მომავალი ნავით, აღტაცებული ყვირილით ჩაცვივდნენ თავიანთ ნავებში, დაუხვდნენ ზღვაში და ერთი ხარითა და ზეიმით გამოაცილეს ნაპირამდის. გადმოსვეს, ცეკვა-თამაშით გამართეს და შეუწყვეტელ აღტაცებულის ყვირილით თავის სოფელში წაიყვანეს. მიკლუხო-მაკლაი მიიყვანეს მის ქოხთან. ამ ქოხისთვის გარშემო შემოევლოთ ღობე, ასე რომ, ქოხში შესვლა არავის შეეძლო. დაარღვიეს ეს ღობე, მასპინძელი შეიყვანეს შიგ და უთხრეს, შენი ჩვენთან ყოფნის სახსოვრად დავიცავით წმინდად ეს ადგილიო. მიკლუხო-მაკლაისაგან დატოვებული ნივთები ელაგა თავ-თავის ადგილას ხელ-უხლებელი.

მიკლუხო-მაკლაის მოღვაწეობა ნათლად გვიჩვენებს, რომ ნამდვილი ქრისტეანე მისიონერი ადამიანის კეთილი გულია, რომლის დაფასება და პატივისცემა ველურთაც შეუძლიანთ, რადგან ისინიც ჩვენსავით ადამიანები არიან და კეთილისა და ბოროტის გარჩევა იციან.

ი. ნ—შიძე.

გვარი გამრავლება საგულისხმიერო და დამაფიქრებელია. მაიორი კრაიგი ამასთან იმასაც აღნიშნავს, რომ ხალხის გამრავლებასთან ერთად სიმდიდრეც მატულობსო. მიწის ფასმა, შემოტანილ და გატანილ საქონელთა გადასახადთა ხარჯმა, ყველა სახელმწიფოში იმატაო. რაც შეეხება კერძოდ თვითოეულ კაცის შეძლებას, იმის ქონებაც საშუალოდ 2750 მანეთამდეაო, 1833 წელს-კი 1500 მანეთს არ აღემატებაო.

თრცოლა. ლიუბლინში შემდეგი ამბავი მოხდა; ახალგაზდა კაცს, რიამელმაც დიდი ხანი არ იყო, რაც ერთის მდიდარის მრეწველის ქალი შეირთო, თავის კანონიერი პირველი ცოლი მოუვიდა ორის შვილით. ცოლებს ერთმანეთში ერთი ალიაქოთი მოუხდათ: არა მე მეკუთნის და არა მეო. მრეწველის ქალს ბოლოს თავის ქისისთვის მიუმართავს და მეტოქესთვის 5,000 მანეთი შეუძლევია, ოღონდ თავი დამანებეო, მაგრამ პასუხად მიუღია: მე ქმარს სავაჭრო საგნად არ გავხდიო. ვის ეკუთვნის ეს უღირსი ორ-ცოლა ქმრად? ცხადია, პირველს ცოლს, ისიც ცხადია, რომ სამართალი ამ ვაჟბატონს ციხეში ამოაყოფინებს თავს; ჯერ-ჯერობით-კი ვიდრე მის ცოლებს ცილაობა და კინკლაობა ჰქონიათ, ამ მატყუარას დრო უხელთნია და სადღაც გაპარულა. ჯანდაბამდის გზა გქონდეთ, რამდენიც გინდათ, იმდენი იჩხუბეთ, უთქვამს თავის ცოლებისათვის.

---

# დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

29 აპრილი.

**სოფია.** ბიტოლიაში ოსმალეთის პოლიციამ თვითონვე განგებ დააწყო ასაფეთქი ყუმბარები და ამით გამოიწვია ქლეტა ბოლგართა.—სერესსა, უსკიუბსა, ველესსა და ჯუმაის შეიპყრეს ხალხი. სოფელი ბონიცა დასწვეს.—დელჩევის მოკვლის ამბავს უარ-ჰყოფენ. ცონჩევი მოკლული-კი არ არის, დაჭრილია დრენოვიჩსა. საფრანგეთის ესკადრა, ახალის ბრძანებისამებრ, გაჩერდა სირსა.

**მოსკოვი.** პეტერბურგის საიუბილეო დღესასწაულზედ დასასწრებლად წავა დეპუტაცია და წაიღებს ძვირფასს კოლოფს მისალოცავად.

**სტამბოლი.** ინსპექტორი ხილმი-ფაშა უარ-ჰყოფს, რომ სახლების გაჩხრეკის დროს დინამიტი არსად აღმოჩენილაო.—იუწყებიან, რომ კონიის დივიზია სათადარიგო ჯარისა, ნასირ-ფაშის უფროსობით, ახალ ბაზარში გადადის. ადრიანოპოლისა და კირკილისის სანჯაყების ექვს სოფელში აღმოჩნდა დიდი სიმრავლე სომეხთ რევოლიუციონერების ბრბოთა, რომელნიც ბაიაზეთის სანჯაყში გაჩნდნენ. მიღებულია ღონის-ძიებანი მოსალოდნელ მღელვარების ასაცილებლად.

**ვაშინგტონი** რუზველტმა წარმოთქმულს სიტყვაში უჩვენა იმ უღრესს მდგომარეობაზე, რომელიც შეერთებულს შტატებს უჭირავთ დიდს ოკეანეში. მომავალში მეტს მნიშვნელობას მოიპოვებენ და ამ საუკუნის განმავლობაში დიდი ოკეანე ამერიკის გავლენას დაექვემდებარებაო.

**სტამბოლი.** ოსმალეთიდგან იტყობინებიან, რომ იპეკიდამ გაგზავნილი დელეგატები, რომელთაც რეფორმების წინაამდეგ უნდა ემოქმედნათ, დაბრუნდნენ და ვერ მიაღწიეს საწადელსა. თანხმად მონასტრიიდამ მოსულის საკონსულოს დეპეშისა, განვლილს ოთხშაბათს მოკლულ იქმნა 8 ბერძენი და 6 ბულგარელი, დაჭრილია 4 ბერძენი და 9 ბულგარელი.

**ჰონკონგი.** ნანკინისა და ცუნფას ოლქებში დიდი შიმშილია; 73,000 კაცია გაჭირვებაში. სანოვაგე გაგზავნეს.

30 აპრილი.

**პეტერბურგი.** მონარქიულ განსაკუთრებულ კეთილმოწყალების აღსანიშნავად ხელმწიფე იმპერატორმა ასის წლის არსებობისათვის კეთილ ინება და უბოძა 89 ბელოზორისა, 90 ონეგისა, 92 პეჩორისა და 102 ვიატსკის ქვეითა პოლკებს ახალი გიორგევსკის დროშები საიუბილეო ლენტებით და წარწერებით „1803—1903“ ძველის წარწერების დაცვითა.—2 მაისს იქნება ჯარის უმაღლესი აღლუმი.

**სტამბოლი.** წუხანდელს მინისტრთა საბჭოზე შეამზადეს დადგენილება ვალის უნიფიკაციაზე, მხოლოდ ხელმოწერილი არ არის. დიდმა ვეზირმა აღუთქვა, რომ ოთხშაბათს მოაწერენ ხელსაო.

**სოფია.** ეტკიცდება, რომ სალონიკაში მომხდარის ამბების შემდეგ ოსმალთა ჯარისკაცნი და ჟანდარმები ატუსაღებდნენ უდანაშაულოებსა, დაეცნენ ბულგართა ეკკლესიასა, მოჰკლეს მღვდელი, შეაგინეს სიწმინდე და გაძარცვეს ვერცხლის სამკაულები ეკკლესიისა.

— კასტორიაში შიმშილს მოელიან, რადგანაც ხნულების დათესვა შეუძლებელია. მართებლობა ატუსაღებს და გზავნის მცირე აზიაში საეჭვო პირებს; სოფლები ბანსკო და ბელიცა აღსდგნენ და ამიტომ ჯარი შემოარტყეს; ჯუმაის მცხოვრებნი გაგზავნეს; მრავალნი სოფლელნი გაიხიზნენ მთებში; გახიზვნა კვლავ დაიწყო.

---

**პეტერბურგის ბირჟა**, 25 აპრილს

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 93,95 |
| ბერლინში 100 მარკაში | — |
| პარიჟში 100 ფრანკში | — |
| ლონდონში ჩეკები | 94,85 |
| ბერლინში ,, | 46,30 |
| პარიჟში ,, | 37,67 1/2 |
| ბირჟის დისკონტი | 5—6 1/2 % |
| 4% სახელმწიფო რენტა | 98 3/8 გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | 100 3/4 მყიდ. |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა | 95 3/8 მყიდ. |
| 5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ. | 435 1/2 გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 334 1/2 წვ. გაყ. |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა | 297 1/2 გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | — |
| 4 1/2% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა | — |
| 5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | 91 მყიდ. |
| 4 1/2% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა | — |
| 6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | — |
| პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ. | — |
| აქციები ,, ,, ,, ,, | — |
| ,, კასპიის ამხანაგობისა | — |
| ,, ბაქოს ნავთის საზოგად. | — |
| ,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად. | 199 წვ. გაყ. |

---

## მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდგან.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით.)

**ა) ტფილისიდან მიდის:**

**ბათუმს:**—1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 10 ს. 37 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 6 ს. 18 წ. 3) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. 49 წ.

**ბაქოს;** 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 4 ს. 24 წ.; 2) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 49 წ.; 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 32 წ.

**ყარსსა და ერევანს**: 1) საფოსტო № $74/_{75}$ ღამის 12 ს. 30 წ.; 2) სამგზავრო № $90/_{91}$ შუადღის 12 ს. 38 წ.

**ბორჯომს**: 1) სამგზავრო № $7/_{8}$ ნაშუადღევის 2 ს. 58 წ.; 2) სამგზავრო № $9/_{10}$ დილის 6 ს. 21 წ.

**ბ) ბათუმიდან გამოდის:**

**ბაქო-ტფილისისაკენ**: 1) სწრაფი № 2 ღამის 11 ს. 22 წ.; 2) საფოსტო № 4 საღამოს 10 21 წ. 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 37 წ.

**გ) ბაქოდგან გამოდის:**

**ტფილის-ბათუმისაკენ**: 1) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე, პარასკეობით, მოსკოვიდან მომავალი) ღამის 4 ს. 40 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 10 ს. 16 წ.; 3) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 01 წ.

**დ) ქუთაისიდგან გამოდის:**

**ბაქო-ტფილისისაკენ**: ღამის 1 ს. 58 წ.; დღის 2 ს. 23 წ.

**ბათუმისაკენ**: ღამის 1 ს. 58 წ.; დღის 2 ს. 23 წ.; დღის 4 ს. 48 წ.

**ფოთისაკენ**: დღის 3 ს. 8 წ.

---


# განცხადება

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

1.

## ქაჯანა

მოთხრობა ნ. ლომაურისა, ფასი 5 კაპ.

2.

## ალი

მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Общество распростр. грамотности.

ქუთაისში

ს. მ. ბ. თოფურიას

## სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

---

## წმიდა ათონის მთიდგან.

ჩვენ ქართველთა ძმანი ივერიის ახალი სავანისა წმიდის დიდებულის იოანე მახარობელისა და ღვთის-მეტყველისანი, ვსთხოვთ სრულიად საქართველოს საზოგადოებას, ღვთის მოყვარეთა და იესო ქრისტეს მცნების აღმასრულებელთა, რათა ყურად იღონ ჩვენი გაჭირვებული ცხოვრება, ვინაიდგან ქართველთა აღშენებული ჩვენი ძველი ივერიის მონასტერი ძალ-მომრეობითა და უსამართლოდ მიიღეს, და სრულიად მიითვისეს თავისის სიმდიდრითა და მამულებითა ბერძენ ბერთა, და სუფევენ მას შინა, ვითარცა ფაშა. და არა რას მისგან ჩვენ არ გვაძლევენ, და ჩვენ ვიტანჯებით აუცილებელის საჭირო წყალის უქონლობისა გამო; ვინაიდგან წყარო გამოდის სამის ვერსის მანძილზედ და ამას სჭირდება მილით მოყვანისათვის სამი ათასი მანეთი. ჩვენ-კი სრულიად არა რაი გვაქვს ამისთვის გთხოვთ ყოველთა ღვთის-მოსავთა ქართველთ სასულიეროთა და საეროთა, პატივცემულთა ვაჭართა, და ყოველთა მოხელეთა შეგვეწიონ, რაოდენითაც შეუძლიანთ ღვთის მცნების აღსრულებისათვის.

ჩვენი ადრესი:

Турція (черезъ г. Батумъ).

На св. Аѳонскую гору, въ Русскій св. Пантелеймона Монастырь, Архимандриту отцу Андрею для передачи въ Обитель св. Іоанна Богослова . старцу Іеромонаху отцу Іонѣ съ братіею.

(10—8)

---

„GRAND PRIX“ PARIS 1900

Т-во Высшей парфюмеріи

**А. Ралле и К°**

„Въ Мечтахъ“

---



მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი

## „ოდობრინი“ მ. ვ. ლებედევისა.

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენსამე დღეში ძველს ბზერას და მეტ-ხორცს ძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში—სააფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და მის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.

(33—6.—10)

---

**დაიბეჭდა და დაურიგდა ქართულის წიგნის ყველა მაღაზიას გასასყიდათ ახალი ქართული წიგნი**

## „ჩვენს დედებს“

პედაგოგიური წერილები ალ. ნათაძისა.

ფ ა ს ი 25 კაპ.

**ადრესი**: ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლა, ალ. ნათაძეს.



რ ო ი ა ლ ე ბ ი  პ ი ა ნ ი ნ ო



ფის-გარმონები, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლორნეტები, ნოტები, სიმები და სხ.-და-სხ.



ყველა ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

პ რ ე ი ს კ უ რ ა ნ ტ ე ბ ი

მუქთად იგზავნება.

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო საკრავებისა.

**ბ. მ. მირიმანიანისა.**

**МУЗЫКАЛЬНОЕ ДЕПО**

**Б. М. МИРИМАНІАНА**

Тифлисъ, Дворцовая ул.

(25—6—10)

---

ლაბარატორია

## რის გუტმანისა

მისის იმპერატორებითის. უდიდებულესობის კარის ვაჭარი.





## ინდოური მიშუნაი

(ქიმიკოსის რის გუტმანისა)

ნამდვილი გაწყვეტა ვირთაგვებისა, თაგვებისა, თხუნელებისა და სხვათ მათ გვართა. ეს საშუალება განდევნის სახლებიდგან და სადგურებიდგან, განსაკუთრებით ზემოხსენებულ პირუტყვებს იმრიგად, რომ იატაკის ქვეშ არა რჩებიან და ცუდს სუნს არ ავრცელებენ იქიდგან. ფასი 60 კ.—1 მ. 50 კ.

**ინდოური ფხვნილი მწერთა მოსასპობლად** ყველაზედ ნამდვილი საშუალება საბოლოვო გასაწყვეტად ყოველგვარ მწერთა და მათის თესლისა. ეს ფხვნილი შეუდარებელია რწყილის და ბაღლინჯოს გასაწყვეტად კრაოტებში, ლეიბებში, გალესილ კედლებში და აგრეთვე ფიცრის კედლებში. რომელსაც გაკრული აქვს ნაბდები და ნაძენძი. ჩრჩილსა სწყვეტავს ნავთალინისავით და ამასთან მასავით მძიმე სუნი არა აქვს. ამიტომ საჭირო არ არის ქურქისა და სხვა ტყავიან საცმელების შესანახავად მიცემა ზაფხულში. ეს ფხვნილი თავის მოქმედებას ყოველ გვარს ჭია-ღუის წინააღმდეგ თითქმის წუთის განმავლობაში იჩენს. ფასი 35 კ., 65 კ. და 1 მ. 20 კ.

**სითხე ბაღლინჯოს წინააღმდეგ** (ქიმიკოსის რის გუტმანისა). სამუდამოთა სწყვეტავს. სასიამოვნო სუნისა არის და ამასთან არ ალაქავებს საცვლებს, შპალერს და მებელს. შეფრქვეული ოთახის ჰაერს სასიამოვნოდ აგრილებს და ამასთან ერთად განდევნის ჩრჩილს, ბუზებს და კოღოს. ფ. 60 კ.—1 მ.

**ტოკაის ბალზამი** (ქიმიკოსის გუტმანისა) განკურნავს ბებერას, მეჭეჭს და სხვა, არ-გვარს, მოკლე დროს განმავლობაში ძირიან-ფესვიანად სპობს და ამასთან არავითარ ტკივილს არ აგრძნობინებს ადამიანს. ფასი თითო ფლაკონის 60 კ.

უმთავრესი საწყობი ტფილისში, სააფთიაქ. საქონ. ვაჭრ. ამხ.-ში და ყოველს სააფთიაქო მაღაზიაში.

(40—6.—17)

---

## ახალი წიგნები

გამოვიდა და იყიდება ყველა ქართ. წიგნის მაღაზიებში.

სოსიკო მერკვილაძის მიერ გამოცემული ახალი წიგნები:

| | |
|---|---|
| **სიმღერა** აკაკისა. ფასი | 15 ,, |
| **პატრა ჩონგური** ლექსი (დედა-ენა) | 5 ,, |
| **ვაჟრული ჭკუა**, ლექსი აკაკისა | 5 ,, |
| **დათუნა გოცირიძე**, **როსტომ ერისთავი** { ძველებური ამბავი აკაკისა | 5 ,, |
| **აბრამის და იოზის** ლექსი | 3 ,, |
| **ოქრუა** (ხალხური ზღაპარი) | 5 ,, |
| **ორი ქოსატყუილა**, **ბიჭია მენახირე**, **მეფე და სქვინჩა** { ხალხური ზღაპარი. | 10 ,, |

ვინც მოისურვებს ამ წიგნების სყიდვას ან დაბეჭდვას, მიმართოს ტფილისში, ქვაშვეთის ქუჩაზე (ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ) არჯევანიძის სახ. **ანნა მერკვილაძის ქალთა ტანისამოსის სამკერვალო მაღაზიაში.**

ვინც თვითოეულ გამოცემას იყიდის არა ნაკლებ ერთი მანეთისა, **ყოველ მანეთზე დაეთმობა თითო აბაზი.**

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, Георгіевская (Кашветская) ул., д. Аржеванидзе. № 12 модная мастерская Анны Мерквиладзе.

---

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი,

## „ჯ ე ჯ ი ლ ი“

წელიწადი მეთოთხმეტე

გამოვა 1903 წელსაც თვეში ერთხელ იმავე პროგრამით, როგორადაც აქამდის.

ჟურნალი „ჯეჯილი“ მიღებულია ტფილისის საეპარქიო და კავკასიის ოლქის სამოსწავლო რჩევებისაგან სასწავლებლების სამკითხველოებში საკითხავად.

ჟურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში დატარებით ღირს 4 მან., ტფილისს გარეშე გაგზავნით 5 მან., ცალკე ნომერი 50 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარ წლით.

ხელის მოწერა მიიღება:

1) **ტფილისში**—„წერა-კით. გამ. საზოგად.“ კანცელარიაში (Дворцовая ул. д. Груз. Двор., № 101) და თვით „ჯეჯილი“-ს რედაქციაში (Артиллер. ул. № 5, возлѣ Кадетскаго корпуса).

ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.*

---

**უმთავრესი კანტორა დ. ზ. სარაჯიშვილისა ქ. ტფილისში** აცხადებს, რომ საუკეთესო ვენახების

## კახური ღვინის

შესანახად და დასაძველებლად, 1903 წლის 1 იანვრიდგან დაქირავებულია სარდაფები **პეტრუსა მაკაროვისა.** კანტორა და მაღაზია ღვინის ვაჭრობისა იმავე სახლშია (ოლგის ქუჩა, ტელეფონი № 150).

ღვინოები ისყიდება 25 კაპ. დაწყებული ბოთლი.

ნარდად მსყიდველთ და მუდმივ მუშტარს ნაკლებად მიეცემა; ათ ბოთლზედ ნაკლები თუ არ მოითხოვა მუშტარმა, ღვინოს კანტორა სახლშივე თვითონვე მიუტანს.

**ღ ვ ი ნ ო  ი ს ყ ი დ ე ბ ა:**

საწყობში—გოლოვ. პროსპ. სახ. დობრჟანსკისა, ტელეფ. № 595.

დეპო № 2, თავ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ ტელეფ. № 210

დეპო № 1, სასახლის ქუჩა, საკუთარი სახლი, ტელეფონ. № 60.

კავკასიის აფიც. საზოგ., რკინის გზის მოხელეთა მომხმარებ. საზოგადოებისა, შაქიევისა, მანიევისა, აკოფოვისა და სხვა საგასტრონომიო მაღაზიაში. (25—6.—15)

---

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე

## ფარმაცევტთა ამხანაგობა

ტ ფ ი ლ ი ს შ ი

(კავკასიის მუზეუმის პირდაპირ „სევერნი ნომრების“ ქვეშ.

**ტელეფონი № 741.**

აწარმოებს ვაჭრობას ნარდად და წვრილმანად, დილის 8 ს. საღამოს 9 საათამდე. საწყობში ყოველთვის მოიპოვება საუკეთესო თვისების სააფთიაქო და ქიმიური საქონელი, მზა წამლები (პატენტ-მიღებული), სადოსტაქრო იარაღი და შესახვევად სახმარებლი ნივთეულობა, სადეზინფექციო (ჰაერის გასაწმენდი და ჭირის მოსასპობი) წამლები, აფთიაქის და ლაბარატორიისათვის მოწყობილობა, ეთერიანი ზეთები, ბუნებრივი ლითონიანი სხვა-და-სხვა წყალი და მარილი, მრავალ გვარი და მრავალ ფერიანი საპირფარეშო სამკაული, თმის და თვალ-წარბის საღებავი, საზღვარ-გარეთის და რუსეთის საუკეთესო ფირმების კეთილ-სურნელოვანი საქონელი—პარფიუმერია-კოსმეტიკა (დუხი, ოდეკოლონი, ხელის საპნები და სხვ.), ოჯახში სახმარებელი ნივთები—სარეცხისთვის, სამზარეულოსთვის და სხვ, და სხვ.

ადრესი ფოსტისა და დეპეშისა: Тифлисъ Товарищество Фармацевтовъ.

(100—17)